ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: დ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.10.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 120/19

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი რ. ხ. /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. ხ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 07 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2019 წლის 09 დეკემბერს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 2018 წელს დ. ბ.-მ სასამართლოს მიმართა სარჩელით მისი მეზობლების: თ. ტ.-ის, ნ. ტ.-ის, ქ. ტ.-ის და ჟ. ტ.-ის წინააღმდეგ, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენდა ადვოკატი რ. ხ.. დ. ბ.-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ფულადი ვალდებულების შესრულება და მორალური ზიანის ანაზღაურება.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი რ. ხ. მოსამართლესთან ერთად მოქმედებდა მის წინააღმდეგ, მათ შორის სასამართლო პროცესზე ახდენდა მოწმეებზე ზეწოლას, “ატერორებდა და აბნევდა მათ შეკითხვებით“, ამასთან აფრთხილებდა მოწმეებს, რომ ახსნა-განმარტების მიცემისას დ, ბ.-ისკენ არ გაეხედათ.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას მოპასუხეებმა 2015 წლის 15 სექტემბერს გადაუხადეს სადავო თანხის ნაწილი - 300 ლარი, რასაც კატეგორიულად უარყოფდა ადვოკატი რ. ხ. და ამასთან წარდგენილი შესაგებლით არ სცნო სარჩელი და აცხადებდა, რომ საქმე ხანდაზმული იყო და თითქოს მოპასუხეებს გადახდილი ჰქონდათ სადავო თანხა 1989 წელს - 300 მანეთი.

1.5 სასამართლო სხდომაზე ადვოკატი რ. ხ. აცხადებდა, რომ თითქოს დ. ბ. მას ემუქრებოდა და შესაბამისად, მოსამართლეს დ. ბ.-ისთვის უსაფუძვლოდ, შენიშვნა მიაცემინა, კერძოდ, მოსამართლემ დ. ბ.-ს დარბაზის დატოვებისკენ მოუწოდა, რასაც საჩივრის ავტორი არ დაემორჩილა.

1.6 სასამართლო სხდომებზე არ ცხადდებოდა დ. ბ.-ის მოწინააღმდეგე მხარე და სხდომებს მხოლოდ მათი წარმომადგენელი ადვოკატი რ. ხ. ესწრებოდა. საჩივრის ავტორმა არაერთხელ სთხოვა მოსამართლეს და აგრეთვე, ადვოკატ რ. ხ.-ს, რომ მოპასუხეები გამოცხადებულიყვნენ სხდომაზე და დაეფიქსირებინათ პოზიცია, თუმცა მისი თხოვნა არ შეასრულეს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სმენა აქვს უმნიშვნელოდ დაქვეითებული და შესაბამისად, მოსამართლესა და ადვოკატ რ. ხ.-ს სასამართლო სხდომაზე თხოვდა ხმამაღლა ესაუბრათ, რაზედაც უარი მიიღო.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 16 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი, თუმცა აღნიშნული მას არ გაუსაჩივრებია, რადგან გასაჩივრების პროცედურა დამატებით ხარჯს მოითხოვდა და ამასთან, ცდილობდა „სამართალი სხვა კუთხით მოეძებნა“, რაც გამოიხატა ადვოკატ რ. ხ.-ს მიმართ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განმარტებით, ის დ. ბ.-ის, როგორც მოსარჩელე მხარის წინააღმდეგ დავაში წარმოადგენდა მოპასუხეთა (თ. ტ., ნ. ტ., ქ. ტ.) ინტერესებს სასამართლოში. დავის საგანი იყო ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ფულადი ვალდებულების დაკისრება, მორალური ზიანის ანაზღაურება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, დ. ბ. სასამართლო პროცესზე განმარტავდა, რომ მან 300 000 რუსული რუბლი გადაიხადა მოპასუხეების სანაცვლოდ, მათი საცხოვრებელ ბინაზე მიშენების განხორციელებისთვის.

2.3 ადვოკატმა, როგორც მისი მარწმუნებლის ინტერესების წარმომადგენელმა წარადგინა შესაგებელი, რითიც არ ცნო სარჩელი და მოითხოვა არ დაკმაყოფილებულიყო მოთხოვნა მისი უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. 2018 წლის 16 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილდა დ. ბ.-ის სარჩელი.

2.4 ადვოკატის განცხადებით, პროცესის მიმდინარეობის დროს, დ. ბ. იყო აგრესიული და ცდილობდა შეურაცხყოფის მიყენებას მისი მარწმუნებლების მიმართ. ადვოკატის განცხადებით, უსაფუძვლოა დ. ბ.-ის განმარტება, თითქოს სასამართლო პროცესზე დ. ბ.-ისთვის მოსამართლეს მიაცემინა შენიშვნა, რადგან სასამართლო თავად განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობისას თუ რა

ღონისძიებები უნდა გამოიყენოს. მოსამართლემ რამდენჯერმე მისცა შენიშვნა დ. ბ.-ს, რადგან იმ სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს არ იცავდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, დ. ბ. აგრეთვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ მოპასუხეები სხდომაზე არ ესწრებოდნენ, თუმცა აღნიშნული მათი უფლება იყო.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მოწმეებზე მას ზეწოლა არ განუხორციელებია და არც დ. ბ.-ის პროცესზე ცუდად გახდომის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე ჩუმად არ საუბრობდა, თუმცა დ. ბ. წარმოდგენილი იყო ადვოკატით და გაუგებრობის შემთხვევაში, ადვოკატს შეეძლო განემარტა სხდომის მიმდინარეობს დროს თუ რაიმე იყო გაურკვეველი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი რ. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი № / სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 დ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 07 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. ხ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეების ადვოკატმა რ. ხ.-მ დაარღვია სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები, მათ შორის, სხდომების მიმდინარეობის დროს შელახა დ. ბ.-ის უფლებები.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლი: *„ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლი: *„ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“*, ხოლო ამავე მუხლის მე-4

ნაწილით *,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან ...“.*

5.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. (იხ. ეთიკის კომისიის 03.10.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 025/15 პარ. 7.3).

5.4 ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. (იხ. ეთიკის კომისიის 20.04.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 030/14 პარ.5.3).

5.5 „ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატის ვალდებულებაა, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას“. (იხ. ეთიკის კომისიის 24.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №075/11 პარ.3.6).

5.6 საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატ რ. ხ.-ს მიმართ წარმოდგენილი პრეტენზიის ფარგლებში კოლეგიამ შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმები (I სხდომის ოქმი - 21.02.2018; II სხდომის ოქმი - 06.07.2018; III სხდომის ოქმი - 18.07.2018; IV სხდომის ოქმი - 19.07.2018მ). აღნიშნულ სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ დ. ბ. და მისი წარმომადგენელი, აგრეთვე, ადვოკატი რ. ხ., როგორც მოპასუხე მხარეების ინტერესების დამცველი.

5.7 ადვოკატ რ. ხ.-ს სასამართლო სხდომებზე გაჟღერებული პოზიციები შესაძლოა არ იყო მისაღები საჩივრის ავტორისთვის, ვინაიდან ის წარმოადგენდა არა საჩივრის ავტორის, არამედ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგეთა ინტერესებს. სასამართლო სხდომაზე მოწმეთა მიმართ ზეწოლის განხორციელებას და დ. ბ.-ის, როგორც პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვას არ წარმოადგენს საჩივრის ავტორის მითითება, იმის თაობაზე, რომ ადვოკატი რ. ხ. მოწმეებს „აბნევდა შეკითხვებით“, მათ შორის არ იზიარებდა მისი, როგორც მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს, მოსამართლეს მოუწოდებდა მისთვის შენიშვნა მიეცა (იხ. პარ. 1.3; 1.4; 1.5). ამ შემთხვევაში, რ. ხ. წარმოადგენდა არა დ. ბ.-ის, არამედ მისი მოდავე მხარის ინტერესებს და შესაბამისად, მას თავისი კლიენტების ინტერესების წარმოდგენის ფარგლებში უნდა ემოქმედა და არა საჩივრის ავტორის ინტერესების სასარგებლოდ.

5.8 წარმოდგენილი სხდომის ოქმებით არ დგინდება, რომ ადვოკატი რ. ხ. დაემუქრა საჩივრის ავტორს, მათ შორის საჩივარში არ არის დაკონკრეტებული რა სახის მიმართვა იყო მუქარის შემცველი.

5.9 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ვინაიდან, მას უმნიშვნელოდ აქვს სმენა დაქვეითებული,

სასამართლო სხდომაზე ადვოკატ რ. ხ.-სა და მოსამართლეს სთხოვა ხმამაღლა ესაუბრათ, თუმცა ისინი გამიზნულად ხმადაბლა საუბრობდნენ. ამონარიდი 2018 წლის 21 ივნისის სხდომის ოქმიდან - 12:38 დ. ბ.: სმენის პრობლემები მაქვს, პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ; 12:38:51 მოსამართლე: ამიტომ გყავთ წარმომადგენელი; 12:39:28 დ. ბ.: ბოდიშის თხოვნით არ მესმის; 12:39:29 მოსამართლე: მე მეტი ხმამაღლა ვერ ვლაპარაკობ და რა ვქნა; 06.07.2018 წლის სასამართლო სხდომის ჩანაწერი - 16:15:36 ადვოკატი რ. ხ.: ფანჯრებში ქვების სროლის უფლება არ გაქვთ; 16:15;36 დ. ბ.: როგორ? ცოტა ხმამაღლა, ვერ გავიგონე; 16:15:39 ადვოკატი რ. ხ.: მე როგორც მინდა ისე ვსაუბრობ;

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მიუხედავად მისი თხოვნისა, მოდავე მხარეები დასწრებოდნენ სასამართლო სხდომებს, ადვოკატი რ. ხ. სხდომებს ესწრებოდა მოპასუხეების გარეშე, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მოდავე მხარეების უფლებას წარმოადგენდა სასამართლო პროცესში ჩართულიყვნენ წარმომადგენლის მეშვეობით და შესაბამისად, მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა რ. ხ.-მ არ გაითვალისწინა დ. ბ.-ის თხოვნა, არ წარმოადგენს მისი, როგორც პროცესის მონაწილის უფლების შელახვას ადვოკატის მხრიდან.

5.11 წარმოდგენილი საქმის მასალებით, მათ შორის სასამართლო სხდომის ჩანაწერებით არ დგინდება, რომ ადვოკატ რ. ხ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ისეთ ქმედებას, რომლის საფუძველზეც კოლეგია იმსჯელებდა ადვოკატის მიერ სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების სავარაუდო დარღვევის თაობაზე, მათ შორის, საჩივრის ავტორის, როგორც პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვასთან დაკავშირებით.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №120/19 ადვოკატ რ. ხ.-ს მიმართ /სიითი № / არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/